პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 182 (2902) ● ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის პირველობა

45 წუთი ჩემპიონის სტილში

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 14 სექტემბერი.
„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი) 2:2 (2:0).

ლენინგრადი: ვოსტროილოვი, ნეპომელუევი, სოვეიკო, ბელიკოვი, დანილოვი, დერგაჩოვი, ზავიდონოვი, სადირინი, ვასილიევი, ბურჩალკინი, სოლოვიოვი.

თბილისი: ურუშაძე, რეხვიაშვილი (ხუციშვილი), ხურცილავა, ჰელიძე, ცხოვრებოვი, ბართიშვილი, იამანიძე, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, დათუნაშვილი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

მატჩის დასაწყისი „დინამოსათვის“ დრამატული გამოდგა. მე-7 წუთზე სადემონსტრაციო ტაბლოზე გამოიკვეთა ციფრები 2 და 0. ჩემპიონის ასეთ წარუმატებელ სტარტს ლენინგრადელი გულშემატკივრები არ ელოდნენ. რა მოხდა მატჩის ამ სპრინტერულ მონაკვეთზე?

მეორე წუთზე სოლოვიოვმა ოსტატურად აუარა გვერდი „დინამოს“ სამ მცველს და ბურთი ზავიდონოვს გადასცა, რომელმაც ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ურუშაძეს ამ გოლში ბრალს ვერ დასდებ — იგი მთლიანად თბილისელ მცველთა დაბნეულობის შედეგი იყო. ოთხიოდე წუთის შემდეგ „დინამოს“ დაცვამ მორიგი შეცდომა დაუშვა და ბურთი კვლავ ბადეში გაეხვია. კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ბურჩალკინმა ფეხებს შორის რომ გაატარა, გასაგებია: მას პარტნიორი უკეთეს პოზიციაში ეგულებოდა, მაგრამ ლენინგრადელის ამ არც თუ ისე ამოუცნობ ილეთს თბილისელთა დაცვა დანაშაულებრივი გულგრილობით შეხვდა. ბურთი „უშრომლად“ მიიღო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა ზავიდონოვმა და ანგარიში გაზარდა.

ამ გოლმა დინამოელთა რიგებში სრული არევ-დარევა შეიტანა. თავდამსხმელებმა ნაადრევად დაყარეს ფარხმალი, დაცვა კი უსისტემოდ იგერიებდა „ზენიტის“ გამუდმებულ შეტევებს. სწორედ ამ დროს ჰქონდათ მასპინძლებს გოლის გატანის კიდევ რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ სოლოვიოვის, ბურჩალკინისა და კვლავ სოლოვიოვის დარტყმები არაზუსტი აღმოჩნდა. „დინამოსათვის“ ამ მძიმე წუთებში მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ურუშაძემ. საერთოდ თბილისელთა მეკარის თავგანწირვა ამ მატჩში სამაგალითო იყო.

ფეხბურთი
1965

შესვენების შემდეგ თბილისელებმა ტაქტიკური ნახაზი შეცვალეს. ერთ-ერთი მცველის, სახელდობრ, რეხვიაშვილის ნაცვლად მოედანზე მეხუთე თავდამსხმელი — ხუციშვილი გამოვიდა. სტუმრები განლაგდნენ ძველი და ნაცადი სისტემის („დუბლ-ვეს“) მიხედვით. მწვრთნელის გადაწყვეტილება, რომელსაც სწორად აუღეს ალღო ფეხბურთელებმა, ცხადი იყო: შეტევა, გამუდმებული შეტევა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმატებაზე ფიქრი.

და აი, ჩემპიონი ათამაშდა. თბილისელთა თავდასხმის ხუთეული, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს ნახევარდაცვა, სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე. ლენინგრადელები ყრუ დაცვაზე გადავიდნენ, რამდენიმე სახიფათო გარღვევა კუთხურზე მოიგერიეს. 53-ე წუთზე მეტრეველმა მორიგი კუთხური ჩამოაწოდა. ბურთს ხუციშვილი დაეუფლა და უძლიერესი დარტყმით ლენინგრადელთა კარში გაგზავნა — 1:2.

დინამოელთა შეტევები არ წყდებოდა. ჩემპიონი დაჟინებით მიიკვლევდა გზას მასპინძლების საჯარიმო მოედნისაკენ. 71-ე წუთზე სტუმრებმა მარცხენა ფრთაზე ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ბურთი ცენტრში გადააწოდეს. ბარქაიამ დროზე შენიშნა იამანიძე, რომელიც დიდი სისწრაფით მოემართებოდა ლენინგრადელთა კარისაკენ. თბილისელთა ფორვარდმა ბურთი ნახევარმცველს დაუტოვა და მანაც უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ ვერც ზავიდონოვმა, ვერც მეტრეველმა და ვერც ბარქაიამ ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობანი. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. თბილისის „დინამომ“ მეორე ტაიმში ჩემპიონის საკადრისი თამაში გვიჩვენა.

ა. ვასილიევი.

სახიფათო ზონაში

მოსკოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ, „დინამოს“ სტადიონზე, გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“. თქმაც არ უნდა, ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში მოსკოველები უფრო მეტად იმტკიცებდნენ მდგომარეობას ლიდერთა ხუთეულში. მოგება „ტორპედოსათვისაც“ ისე იყო საჭირო, როგორც ჰაერი, რადგან იგი მეტად სახიფათო ზონაში იმყოფება.

„დინამომ“, რომელიც ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩებს დიდი აღმავლობით ატარებს, დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია. მან მეტოქის კარში სამი „მშრალი“ ბურთი გაიტანა (გუსაროვმა — 45-ე წუთზე, მასლოვმა — 64-ე და 76-ე წუთებზე). ქუთაისის „ტორპედო“ მეორე ლიგაში გადასვლის საშიშროების წინაშე დგას.

გუშინ...

გოლები და ავტორები

გაიმართა კიდევ ოთხი მატჩი „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

● „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — სკა (ოდესა) 1:1. გოლები გაიტანეს რახმატულაევმა (ტაშკენტი) და პეტროვმა.

● სკა (როსტოვი) — ცსკა 1:0. ერთადერთი ბურთი გაიტანა კოპაევმა.

● „დინამო“ (მინსკი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 2:1. გოლები გაიტანეს მალაფეევმა, არზამასცევმა (მინსკი) და მარქაროვმა.

● „დინამო“ (კიევი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:0. გოლები გაიტანეს ხმელნიცკიმ და ბაზილევიჩმა.

ინფორმაციის საათი...

◆ **ჰააგა, 14 სექტემბერი.** საბჭოთა და ჰოლანდიელ მოცურავეთა მესამე სამატჩო შეხვედრა სსრ კავშირის ახალი რეკორდით აღინიშნა: 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ტ. დევიატოვამ აჩვენა 1.09,1 და წინანდელი რეკორდი 0,6 წამით გააუმჯობესა. ამ დისტანციაზე გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა ა. კოკმა — 1.05,9. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა მოიგო ტაშკენტელმა ს. ბაბანინამ — 1.17,5. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის პირველი იყო გ. პროკოპენკო — 1.08,3, ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — ვ. კუზმინი — 1.00,6.

◆ **ჰავანა, 14 სექტემბერი.** ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XIII ტურში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა იუგოსლაველმა ივკოვმა. ამჯერად მან დაამარცხა ჰოლანდიელი დონერი. გაიმარჯვა სმისლოვმაც (ჩოკილტიასთან). გელერმა მოუგო გარსიას, პიტცმა — ტრინგოვს, ვეიდმა — პერესს, ბილეკმა — კობოს. ყაიმით დამთავრდა ხოლმოვ — საბოს, ხიმენეს — რობაჩის, ო'კელი — ლემანისა და დოდა—პარმას პარტიები. 13 ტურის შემდეგ ივკოვს 11 ქულა აქვს და I ადგილზეა. 10,5 ქულით II ადგილზეა სმისლოვი. ფიშერსა და გელერს 9,5-9,5 ქულა აქვთ და მომდევნო ადგილებზე იმყოფებიან.

გუშინ დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის 4 გუნდი და 26 სპორტსმენი. შეჯიბრებას თავიდანვე სათავეში მოექცა რესპუბლიკის არა ერთგზის ჩემპიონი, თბილისელი ი. მურომცევი. მან თანაბრად ჩაატარა მთელი შეჯიბრება და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა. მის მიერ დაგროვებული ქულები — 5.186 — საკმაოდ მაღალია და რომელიც გნებავთ დიდ საერთაშორისო ასპარეზობას დაამშვენებდა. უკანასკნელ წლებში მას ტოლი არ ჰყავს რესპუბლიკაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი მეშვიდედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

სურათზე: ი. მურომცევი დაბრკოლებათა გადალახვაში ასპარეზობის დროს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 15 სექტემბრისთვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	22	15	5	2	36—13	35
„დინამო“ (კიევი)	21	13	5	3	37—15	31
„დინამო“ (მინსკი)	22	11	6	5	26—14	28
ცსკა	23	9	8	6	25—16	26
„დინამო“ (მოსკოვი)	23	8	9	6	28—21	25
სკა (როსტოვი)	23	8	9	6	25—21	25
„დინამო“ (თბილისი)	22	8	7	7	24—21	23
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	23	7	9	7	26—23	23
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	22	7	7	8	17—17	21
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	22	7	7	8	26—27	21
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	22	8	5	9	29—30	21
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	25	7	7	11	34—40	21
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	23	8	4	11	22—29	20
„შახტიორი“ (დონეცკი)	21	5	9	7	19—22	19
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	21	5	9	7	21—28	19
„ტორპედო“ (ქუთაისი)	22	6	2	14	20—45	14
სკა (ოდესა)	23	2	4	17	12—45	8

ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონთან

სპორტული საქართველო მიესალმება ომარ ფხაკაძეს

გუშინ, გვიან საღამოს, თბილისის აეროდრომზე სპორტის მრავალი გულშემატკივარი მხურვალედ მიესალმა ესპანეთიდან დაბრუნებულ მსოფლიოს ჩემპიონს — ომარ ფხაკაძეს.

მეგობრებითა და გულშემატკივრებით ალყაშემორტყმულ სპორტსმენს ინტერვიუს ვთხოვთ...

● **რა იმედებით გაემგზავრეთ ესპანეთში?**

— ვოცნებობდი ნახევარფინალში გასვლაზე. მინდოდა გამემეორებინა ჩემი წინამორბედების — რომანოვისა და ბოდნიეკსის მიღწევა. ეს შევასრულე. შემდეგ კი ფრანგ მორელონთან გამარჯვებამ გზა ოქროს მედლისაკენ გამიხსნა. მინდოდა იგი ბრძოლით მომეპოვებინა, მაგრამ როცა იტალიელ ტურინისთან პირველი სერია წავაგე, ძალიან, მწვავედ მომინდა გამარჯვება... და, როგორც იცით, გავიმარჯვე კიდეც.

● **რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა დიდმა წარმატებამ მაყურებლებსა და სპეციალისტებზე?**

— ესპანელები გულთბილად შემხვდნენ. როცა ფინალში მეორე სერია მოვიგე, ისინი ჩემი გულშემატკივრები გახდნენ. როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავდა, სპეციალისტები გამარჯვებას ჩემს მეტოქეს უწინასწარმეტყველებდნენ. იმ გარემოებამ, რომ მე სხვა აზრი აღმომაჩნდა და იგი განვახორციელე კიდეც, ისინი, უბრალოდ, განაცვიფრა.

● **რას განიცდიდით გამარჯვების შემდეგ?**

— სიხარულს! ასეთი დიდი სიხარული არასდროს მიგრძვნია. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მსგავსად ცოტას თუ განუცდია ეს გრძნობა ასეთი სისრულით, სიძლიერით. ამ განცდას ამკვეთრებდა იმის შეგნება, რომ ჩემი გამარჯვება განსაკუთრებით ჩემს მშობლიურ რესპუბლიკას გაახარებდა.

● **„ლელოს“ მკითხველთა სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ გამარჯვებას. რას გადასცემდით მათ?**

— გმადლობთ, გმადლობთ და კიდევ ერთხელ გმადლობთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი გაზეთის საშუალებით ღრმა პატივისცემა, მადლიერების გრძნობა ვუძღვნა ჩემს აღმზრდელებს, რომლებიც ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედნი არიან. სპორტის მოყვარულებს კი მინდა ვუთხრა, რომ ყოველთვის ვეცდები ღირსეულად დავიცვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება. მალე ერევანში საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდება. აი, სწორედ იქ შევეცდები საქმით დავამტკიცო ყოველივე ის, რაც ამჟამად ჩემში ტრიალებს და რისი გამოთქმაც სიტყვით არ ძალმიძს...

მოსწავლეთა სპარტაკიადის ექო

მეტი სიყვარულით, პასუხისმგებლობით

წერილი მესამე

მარცხიც არის და მარცხიც, მაგრამ წელს რაც ჩვენმა მოსწავლე ფრენბურთელებმა საკავშირო IX სპარტაკიადაზე განიცადეს, მოულოდნელობათა კატეგორიას ვერ მივაწერთ. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან წლიდან წლამდე ჩვენს რესპუბლიკაში როგორც მოზრდილთა, ისე მოსწავლეთა ფრენბურთი სულ უკან და უკან მიექანებოდა.

და აი, შედეგიც, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენმა ჭაბუკებმა (მწვრთნელი შ. მარგიშვილი) IX ადგილი დაიკავეს, ხოლო გოგონებმა (მწვრთნელი ს. ტარახჩიანი) — X. თუ გოგონები თავიანთ შეხვედრებში შედარებით იოლად თმობდნენ პოზიციებს, ჭაბუკები „ფარ-ხმალს“ მხოლოდ გადამწყვეტ პარტიებში ყრიდნენ. ჭაბუკთა გუნდს არ ჰყოფნიდა ძალა ბოლომდე შეენარჩუნებინა თამაშში მოპოვებული უპირატესობა. ასე, მაგალითად, ყირგიზეთის გუნდთან პარტიას ვიგებდით ანგარიშით 14:6. გამარჯვებისათვის საკმარისი იყო 1 ქულის მოპოვება. მაგრამ ასეთ ვითარებაში მეტოქემ ხელიდან გამოგვგლიჯა გამარჯვება. ასევე ხდებოდა ბევრ სხვა შეხვედრაშიც. ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელია და შეგნებული აქვს მდგომარეობის მთელი სიმძიმე. საერთოდ, ჭაბუკთა გუნდი ტაქტიკურად სუსტად იყო მომზადებული, აკლდა ფიზიკური გამძლეობა. და სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორია ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჭაბუკ ფრენბურთელთა კოლექტივი კარგად წარმართულ ამა თუ იმ მატჩში ბოლომდე ვერ ახერხებდა ფონს გასვლას. ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ ფრენბურთელ ჭაბუკთა კოლექტივი მოგვიანებით დაკომპლექტდა, რაიონებიდან ჩამოსული ნაკრების წევრები გვიან შეეთვისნენ საერთო ანსამბლს. მზარდი და პერსპექტიული მარნეულელი სპორტსმენი ვ. ცვეტკოვი, რომელსაც გუნდის წამყვანის როლი უნდა ეკისრა, რთულ ვითარებაში დაიბნა, ველარ გამონახა კოლექტივთან თამაშის საერთო „ენა“, ნერვიულობდა და საბოლოოდ ვერც საბრძოლველად აიყოლია თანაგუნდელები. მაგრამ ჭაბუკების წარუმატებლობა არც მარტო სრულფასოვანი „დირიჟორის“ უყოლობამ განაპირობა. მიმდინარე წელს ჩვენი ნაკრებისთვის შევსება არ მიუციათ აფხაზეთს, აჭარას, ქუთაისს, რესპუბლიკის სხვა წამყვან რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებს. ფაქტიურად რეზერვის აღზრდაზე მარნეულის გარდა სერიოზულად არსად უფიქრიათ.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა გოგონათა ნაკრებშიც. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ კონტიგენტი მეტად უხეიროდ იყო შერჩეული და გოგონებიც საერთოდ, სუსტად იყვნენ მომზადებული. ამ გოგონათა გუნდის მწვრთნელს ს. ტარახჩიანს ცუდ „დურგლობას“ ვერ დავწამებთ. იგი გამოცდილი პედაგოგია. მაგრამ მას რომ ამჯერად საქმისადმი მეტი სიყვარული და მონდომება გამოეჩინა, გოგონათა ნაკრები სულ მცირე უკეთესად მაინც ითამაშებდა.

ფრენბურთში ჩავარდნის აღმოფხვრის მიზნით გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, ამთავითვე დავიწყოთ ქმედითი მზადება მომავალი სპარტაკიადისთვის, მით უმეტეს, რომ იგი საიუბილეოა (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა რიგით მეათეა. იგი ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს). პირველ რიგში უნდა გადაისინჯოს ნაკრები გუნდების შემადგენლობა, შეირჩეს ღირსეული სპორტსმენები, ყურადღება გამახვილდეს 1949-1950 წლებში დაბადებულ სპორტსმენებთან მუშაობაზე; ნიჭიერი ფრენბურთელები გაცხოველებით უნდა ვეძიოთ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში. კარგი მონაცემების მქონე ჭაბუკებისა და გოგონების მოძებნა ისეთ რაიონებშიც შეიძლება, სადაც ფრენბურთი არაა განვითარებული. ყურადღება უნდა მიექცეს თვით რაიონებში ფრენბურთის განვითარებასაც. ურიგო არ იქნება, თუ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისის რაიონების ბავშვთა სპორტსკოლების მუშაობას განათლების საქალაქო განყოფილების სპორტსკოლას დაუქვემდებარებს. ასეთი ცენტრალიზაციით, ვფიქრობთ, ფრენბურთელთა მუშაობას სწორი კოორდინაცია გაეწევა, უფრო სწორად შეირჩევა მწვრთნელთა კადრები და ა. შ.

როგორც ცნობილია, მოსწავლეთა და სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადები გაიმართება 1967 წლის ზაფხულს. ჩვენი აზრით, საიუბილეო სპარტაკიადის წინა, 1966 წელს დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობა უნდა მიიღონ სწორედ იმ გუნდებმა, რომლებიც შემდგომში საიუბილეო სპარტაკიადებში ცდიან თავიანთ ძალებს. შესაძლოა 1966 წლის დასაწყისს კარგ შედეგებს ვერ მივაღწიოთ, მაგრამ უნდა ვიხედებოდეთ წინ, პერსპექტივაში. ასეთი „გენერალური რეპეტიცია“ მომდევნო წელს წარმატებათა მოპოვების საფუძველი გახდება.

შ. მარგიშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,
ჯ. ენუქიძე.

ჩვენი ძმა რესპუბლიკებში

ახალმოსახლეობა სმოლენსკში

სმოლენსკის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სამმა კათედრამ ახალმოსახლეობა გადაიხადა: ისინი გადავიდნენ ახალ სასწავლო-სპორტულ კორპუსში. ამ კორპუსში ოთხი სპორტული დარბაზია — ფარიკაობისთვის, კალათბურთისთვის, ძალოსნობისთვის, აგრეთვე რამდენიმე კაბინეტი.

ეს კარგი საჩუქარია სტუდენტებისა და ქალაქის ფიზკულტურელებისთვის, რომელთაგან ბევრი აქ დაუსწრებლად სწავლობს.

მიმდინარე წელს ინსტიტუტთან იქმნება უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა, რომელშიც თავიანთ ოსტატობას დახვეწენ ქალაქის გამოჩენილი ფიზკულტურელები.

სმოლენსკი.

სპორტული ახალმშენებლობების რუკა

კიშინიოვის უჩვეულო რუკა შეიქმნა „მოლდგიპროსტროის“ ინსტიტუტში. მასზე მიმოფანტული პატარა თუ დიდი ლაქები მოლდავეთის დედაქალაქის მომავალი სპორტული ახალმშენებლობებია. ქალაქის ყოველ 6-8 ათას მცხოვრებზე დამპროექტებლებმა დაგეგმეს პატარა სტადიონი ფეხბურთის მინდვრით, სპორტულ თამაშობათა მოედნებითა და მაყურებლისთვის განკუთვნილი ადგილებით. მსხვილ საცხოვრებელ მასივებში გათვალისწინებულია კომპლექსების აშენება, რომლებიც შედგება სტადიონისაგან, ტანვარჯიშული დარბაზისა და საცურაო აუზისაგან. რესპუბლიკური მნიშვნელობის სპორტულ ცენტრად ითვლება „მოლდავური ლუჟნიკი“, რომლის მშენებლობაც უკვე მიმდინარეობს.

კიშინიოვი.

[illegible]

საწარმოს

სპორტული ცხოვრება

თასის მფლობელები ემზადებიან

ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა საკონტროლო თამაში ჩაატარა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდთან — „ლოკომოტივთან“ და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია — 3:0.

მეფეხსაცმელეთა ნაკრები გუნდი სოხუმს გაემგზავრება, სადაც საქართველოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თასის გათამაშებაში მისი შენარჩუნებისთვის იბრძოლებს.

პრიზი — კომუნისტური შრომის საამქროს

პირველი შემკერი საამქრო ერთადერთია ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“, რომელიც კომუნისტური შრომის საამქროს საპატიო სახელს ატარებს.

საწარმოო გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მიერ დაწესებულ პრიზზე, რომლის გათამაშებაში ფრენბურთელთა 10 გუნდი მონაწილეობდა, სწორედ ამ კოლექტივმა გაიმარჯვა.

ხ. გიგაური.

მსახიობები მარუხის მყინვარზე

რა ჯობს აფხაზეთის ბუნებას, ცად აწვდილ მთებს, მიუვალ კლდეებს, გამოქვაბულებს, ზღვას, მდინარეებს... შვებულების დროს სწორედ ბუნების წიაღში მოგზაურობა გადავწყვიტეთ სოხუმის თეატრის მსახიობებმა.

და, დაიძრა ტურისტული ჯგუფი მთებისკენ, მარუხის მყინვარისაკენ, რათა საკუთარი თვალით ენახა ის ადგილები, სადაც სამამულო ომის ცხარე დღეებში ჩვენი მამაცი საბჭოთა არმია გმირულად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. ჯგუფს ინსტრუქტორი ვ. ცხადაია მიუძღოდა წინ.

პირველი ღამისთევა მინერალური წყლების ხეობაში მოვაწყვეთ. მეორე დღეს ჩავუარეთ იმ ადგილს, სადაც სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიის მამაცი მეომრები იყვნენ დაბანაკებულნი და მოსვენებას არ აძლევდნენ მტრის შენაერთებს.

აი, უკვე უღელტეხილის ციცაბო კლდეზე მივაბიჯებთ. ფრთხილად გადავდივართ მყინვარზე. მივადექით მიდამოებს, სადაც ქართული ათასეული იბრძოდა.

შემდეგ ვინახულეთ მოსკოვის სტუდენტების მიერ დადგმული ძეგლი. მეორე ძეგლი კი მარუხის გმირებს ყარაჩაი-ჩერკესკის მშრომელებმა აუგეს. იგი ამ სამი წლის წინ გაიხსნა საზეიმოდ.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ქსენია დოლიძემ და მიხეილ გვალიამ გმირთა საფლავზე მარუხის ბრძოლებში დაღუპულ ჯარისკაცებისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

ჩვენს სამარშრუტო ფურცელში ქლუხორის უღელტეხილიც იყო აღნიშნული. გზაში ყარაჩაელი მწყემსი პარტიზანი ხარუნ გლოოვი გავიცანით, რომელმაც ბრძოლის ადგილები დაგვათვალიერებინა და სამახსოვრო სურათი გადაიღო ჩვენთან ერთად.

ქლუხორის უღელტეხილი ქარსა და წვიმაში გადმოვლახეთ. უღელტეხილზე ალპინისტთა ჯგუფის წერილი „მოვხსენით“ და სამაგიერო დავტოვეთ.

სოფელ გვანდრაში ის ადგილები მოვინახულეთ, სადაც საბჭოთა დივიზიის შტაბი იდგა პოლკოვნიკ ბელოხოვის ხელმძღვანელობით.

ესეც ძმათა სასაფლაო, რომელიც ქვებითაა ნიშანდებული. ტურისტებმა წუთიერი მდუმარებით ქუდმოხდილებმა სცეს პატივი ომში დაღუპულ გმირებს და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს საფლავები.

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მოლაშქრენი წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქს.

ნ. მიქაშავიძე,
ლაშქრობის ხელმძღვანელი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.





ლიხაურელი „ვერები“ და „მამინაცვლები“

მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომლებიც შრომისგან თავისუფალ დროს სპორტულ მოედნებზე ატარებენ — თამაშობენ ფრენბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს. ხანდახან მძლეოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებშიც მოსინჯავენ ხოლმე ძალებს. მაგრამ, სამწუხაროდ, სავარჯიშოდ ისინი სკოლის ბაზებზე დადიან, ვინაიდან კოლმეურნეობის ერთ დროს კეთილმოწყობილი სპორტული ნაგებობანი უპატრონობით დაინგრა და გაპარტახდა.

ადამიანთა უსულგულო დამოკიდებულებას ყველაზე დიდხანს ისევ კალათბურთის მოედანმა გაუძლო. მის რკინის დანადგარებს ხელმრუდე ადამიანებმა ვერაფერი დააკლეს. მერე საქმეში კოლმეურნეობის გამგეობა ჩაერია, ამ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მანქანების სადგომის აშენება განიზრახა და „საქმესაც“ შეუდგა: სპორტსმენებს ვარჯიშები აუკრძალა, სამაგიერო ბაზის მოწყობაზე კი თავი არ შეიწუხა.

როცა სპორტსმენებმა წვრთნა და მატჩების ჩატარება მაინც აქ ამჯობინეს, სოფლის თავკაცებმა ახალი ზღუდე აღმართეს — მოედანზე ავტომობილის მისაბმელი დააყენეს. მერე ვიღაცამ ფარიც გატეხა. მინდორი უვარგისი გახდა.

კოლმეურნეობის გამგეობის ხელმძღვანელობას რომ ჰკითხოთ, ახალგაზრდებს ვერაფერს დაემდურება. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სახალხო დოვლათის შექმნაში. სპორტის მოყვარულნი კი, პირიქით, სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ გამგეობის მიმართ, რომელიც არავითარ დახმარებას არ უწევს ფიზკულტურულ საბჭოს მასობრივი მუშაობის ამაღლებისა და ბაზების მოწყობა-შეკეთების საქმეში.

რა ქნან ლიხაურელებმა? როდემდე ივარჯიშონ სხვის ბაზებზე?

სურათებზე: ლიხაურის კოლმეურნეობის კალათბურთის „სტადიონი“.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

[illegible]

---

80 ათასი საფრთხეშია

ანდაზა — „დროზე მთესველი დროზე მომკისო“, „განთიადის“ საცურაო აუზზეა ზედგამოჭრილი. რესპუბლიკის ეს შესანიშნავი სპორტული ნაგებობა მხოლოდ ზაფხულში (3 თვით) აკმაყოფილებს ცურვის მოყვარულთ. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენია ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და სახალხო მეურნეობის საბჭომ გასული წლის 29 ივლისის ერთობლივ დადგენილებაში აღნიშნა, რომ მოუგვარებელია „განთიადის“ საცურაო აუზის გათბობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების საკითხი. ეს დადგენილება „საქცხიმეთერზეთების“ ტრესტს ავალებდა სარეკონსტრუქციო ხარჯები 80 ათასი მანეთით გაეზარდა და დროზე დაემთავრებინა აუზის კაპიტალური რემონტი.

აღნიშნულ ტრესტს მაინც და მაინც თავი არ შეუწუხებია დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. მისი მიზეზით გაჭიანურდა პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. როცა საქმე კრიტიკულ მომენტამდე მივიდა, საქმეში ისევ სახალხო მეურნეობის საბჭო ჩაერია. 1964 წლის 9 დეკემბრის № 1991 განკარგულებით, საცურაო აუზი ბალანსიდან ბალანსზე „სამტრესტის“ თბილისის საწარმოო კომბინატს გადაეცა.

ახალმა „შეფმა“ აქტიურად დაიწყო მოქმედება. და აი, მიმდინარე წლის 28 მაისისთვის მზად იყო პროექტიც და ხარჯთაღრიცხვაც. რამდენიმე დღის შემდეგ „სამტრესტის“ სამშენებლო სამმართველოს უფროს პ. ოთარაშვილთან ხელშეკრულება დაიდო. ადგილზე მიზიდეს სამშენებლო მასალა. ექსკავატორი და ბულდოზერი დღე-ღამის განმავლობაში უტევდა „ყამირს“. მაგრამ ეს იყო და ეს. მას შემდეგ აუზზე არც მშენებლები გამოჩენილან და არც მათი ხელმძღვანელები. ბაზა კი, რომელიც მიმდინარე წლის ზამთრის სეზონს თბილი წყლით უნდა შეხვედროდა, ზაფხულის სეზონის უკანასკნელ დღეებს ითვლის. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოსა და აუზის ხელმძღვანელები დარბიან ინსტანციებიდან ინსტანციებში და დახმარებას ითხოვენ. მათ ათასობით ცურვის მოყვარულის ინტერესები აწუხებთ...

თქვენ რაღას ეტყვით ცურვის მოყვარულთ, მშენებლებო და ამხანაგო პ. ოთარაშვილო?..

თ. ბარბაქაძე.



თბილისში თანდათან იკრიბებიან სსრ კავშირის პირველობის მონაწილენი საგზატკეცილო ველორბოლაში. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს უკვე ეწვივნენ მოსკოველი სპორტსმენები. ისინი მასპინძლებთან ერთად აქ გადიან საწვრთნელ შეკრებას, ეცნობიან მომავალი ბრძოლების ტრასებს, კონკურსგარეშე ძალები სცადეს საქართველოს ჩემპიონატში. მოსკოვის მოზარდთა და მოზრდილთა გუნდები დაკომპლექტებულია ამ ქალაქის პირველობის პრიზიორებით.

სურათზე: მოსკოველი და საქართველოს ველოსიპედისტები მორიგ ვარჯიშზე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● **„სინათლე" (თბილისი) — „თოლია" (თბილისი) 0:1. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).**

ერთადერთმა გოლმა, რომელიც „თოლიას" მარცხენა გარემარბმა ივანოვმა გაიტანა მეტოქის კარში, გამარჯვება „თოლიას" მოუტანა.

● **„განთიადი" (ბორჯომი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:2. მსაჯი გ. სულაძე (თბილისი).**

ორივე გუნდის მეცადინეობის მიუხედავად, შეხვედრის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. შესვენების შემდეგ ბორჯომელებმა საფაროვმა და ოგანეზოვმა და მახარაძელებმა სალუქვაძემ და თალაკვაძემ შეძლეს მეტოქეთა კარის „დაზიანება". გუნდებმა გაინაწილეს თითო ქულა.

● **„ციხკარი" (ცხაკაია) — სკა (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).**

თბილისელი ფეხბურთელები გამარჯვებისთვის ყოველ ღონეს ხმარობდნენ და... უხეშობასაც არ ერიდებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეკარე ო. გორგოშიძე, რომელიც მსაჯმა არა ერთხელ გააფრთხილა. არმიელებმა ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს მიზანს — გაიტანეს გოლი და ორი ქულა აიღეს.

● **„წინსვლა" (წულუკიძე) — „სამეგრელო" (ზუგდიდი) 2:2. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

შესვენებამდე მასპინძლები მონდომებით თამაშობდნენ, ფართო ფრონტით უტევდნენ მეტოქის კარს და დაწინაურდნენ კიდევაც — ეფრემიძემ და ჯანელიძემ ორი გოლი გაიტანეს. „სამეგრელომ" (შამუგია) შესვენებამდე ერთი ბურთი გაქვითა. II ნახევარში ზუგდიდელმა მესხიამ წონასწორობა აღადგინა.

● **„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მადაროელი" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ე. ნადიროვი (რუსთავი).**

შეხვედრის პირველ ნახევარში კვიტაიშვილმა წინ გაიყვანა სტუმრების გუნდი, მაგრამ „მადაროელმა" ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება — შესვენების შემდეგ საკუთარ კარში მიიღო გოლი. ბურთის ავტორია სხილაძე.

საქართველოს პირველობა

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 13 სექტემბრისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა" (გორი)	21	13	2	6	32—16	28
„მესხეთი" (ახალციხე)	21	11	6	4	27—15	28
„თოლია" (თბილისი)	21	9	9	3	37—20	27
„შუქურა" (ქობულეთი)	21	8	10	3	37—30	26
სკა (თბილისი)	23	7	11	5	42—29	25
„გურია" (ლანჩხუთი)	19	8	6	5	28—21	22
„სინათლე" (თბილისი)	20	6	10	4	28—24	22
„ციხკარი" (ცხაკაია)	22	7	8	7	28—24	22
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	23	6	9	8	25—26	21
„წინსვლა" (წულუკიძე)	23	6	8	9	27—44	20
„მეშახტე" (ტყვარჩელი)	21	7	5	9	19—30	19
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	22	5	8	9	23—24	18
„სამეგრელო" (ზუგდიდი)	22	4	10	8	19—28	18
„მერცხალი" (მახარაძე)	20	6	5	9	29—32	17
„მადაროელი" (ჭიათურა)	20	6	4	10	26—33	16
„განთიადი" (ბორჯომი)	21	5	6	10	22—35	16
„ბახმარო" (ჩოხატაური)	20	3	9	8	18—32	15

II ქვეჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქართლი" (გორი)	16	10	8	3	31—16	23
„ბახტრიონი" (ახმეტა)	16	9	4	3	23—14	22
„ირისტონი" (ცხინვალი)	17	8	5	4	28—19	21
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	18	8	4	6	23—22	20
„ისანი" (თბილისი)	15	6	7	2	26—14	19
„მეტალურგი" (რუსთავი)	17	5	6	6	21—30	16
„დურუჯი" (ყვარელი)	15	6	2	7	22—21	14
„კოლმეურნე" (მარნეული)	15	5	4	6	21—21	14
„ნადიკვარი" (თელავი)	14	5	1	8	21—25	11
„სამცხე" (აწყური)	15	3	5	7	16—26	11
„კახეთი" (ველისციხე)	17	2	1	14	16—40	5

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	18	12	3	3	41—17	27
გალის გუნდი	18	11	4	3	39—20	26
„ციხკარა" (ბათუმი)	17	10	3	4	26—17	23
„კოლხიდა" (ხობი)	17	8	4	5	24—19	20
„სამგურალი" (წყალტუბო)	17	8	3	6	25—20	19
„სალხინო" (გეგეჭკორი)	18	6	6	6	23—19	18
„სულორი" (ვანი)	17	7	3	7	23—25	17
„თოლია" (ფოთი)	17	7	3	7	18—23	17
„ჭიხურა" (საჩხერე)	17	7	2	8	21—22	16
„საირმე" (მაიაკოვსკი)	17	4	7	6	23—24	15
„დინამო" (ქუთაისი)	17	4	3	10	16—29	11
„დინამო" (სოხუმი)	15	1	2	12	17—43	5

მეორე ქვეჯგუფი

I ზონა

„ქართლი" (გორი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 4:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0, „კახეთი" (ველისციხე) — „ისანი" (თბილისი) 0:2, „ირისტონი" (ცხინვალი) — „დურუჯი" (ყვარელი) 7:1.

II ზონა

გალის გუნდი—„კოლხიდა" (ხობი) 4:2, „დინამო" (ქუთაისი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:3, „სულორი" (ვანი) — „ჭიხურა" (საჩხერე) 2:0, „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 2:1.

„დიდი ნაკრების" ბედი

რამდენიმე წლის წინ უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრების სახელი ლეგენდად იყო ქცეული. როგორ წარიმართა შემდგომში ტყავის ბურთის ჯადოქართა ბედი?

ლ. კომაროვი.

ტულა.

ამის შესახებ ვთხოვეთ მოეთხრო გაზეთ „მადიარ ნემზეტის" მიმომხილველს რობერტ ჟოლტს.

ორმოცდაათიანი წლების უნგრეთის ნაკრებმა მსოფლიოს ფეხბურთის მოედნებზე მეხივით გადიგრიალა. სამშობლოში მას შემთხვევით კი არ უწოდეს „დიდი ნაკრები". 1950 წლიდან 1954 წლამდე, მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩამდე, მას არც ერთი ოფიციალური მატჩი არ წაუგია. ამ ხნის განმავლობაში „დიდი ნაკრები" 32-ჯერ შეხვდა მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს. მის აქტივშია გამარჯვებები შვეციასთან, ურუგვაისთან, ბრაზილიასთან, იუგოსლავიასთან და ბოლოს, ბრწყინვალე წარმატება „საუკუნის მატჩში" ინგლისთან (6:3), გუნდთან, რომელიც მანამდე თავის მოედანზე არც ერთ ოფიციალურ მატჩში არ დამარცხებულა.

„დიდი ნაკრები" მეტწილად ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: გროშიჩი, ბუზანსკი — ლორანტი — ლანტოში, ბოჟიკი — ზახარიაში, ბუდაი (შანდორი) — კოჩიში — ჰიდეგკუტი — პუშკაში — ციბორი. უნგრეთის სტადიონებზე ყველაზე დიდხანს კაროი შანდორი თამაშობდა. 17 წლის მანძილზე იგი მტკ-ს უცვლელი მარჯვენა გარემარბი იყო. შანდორი ნაკრების შემადგენლობაში პირველად 1949 წელს მოხვდა და მხოლოდ გასული წლის შემოდგომაზე, 75-ე მატჩის შემდეგ გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს. შანდორი უნგრული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ვარსკვლავი იყო. 1956 წლის შემოდგომაზე მას, სხვების მსგავსად, დასავლეთში გადაბირებას უპირებდნენ (ფეხბურთელს 140 ათასი დოლარი შესთავაზეს). მაგრამ შანდორმა ავანტიურისტები მტკიცე უარით გაისტუმრა. ახლა იგი თავის კლუბ მტკ-ში ფეხბურთის სექციას ხელმძღვანელობს.

60-იანი წლების დასაწყისისთვის „საუკუნის მატჩის" გმირებიდან ნაკრებში ისევ თამაშობდნენ დიულა გროშიჩი და იოჟეფ ბოჟიკი. დიდ ფეხბურთს ორივემ 1962 წელს დაანება თავი.

იოჟეფ ბოჟიკმა 37 წლის ასაკში ულამაზესი გოლი გაიტანა ურუგვაის ნაკრების კარში და თავისი ბრწყინვალე სპორტული კარიერაც დაასრულა. იგი მსოფლიოში მესამე სპორტსმენია, რომელსაც ასჯერ ეცვა ეროვნული ნაკრების მაისური. ბოჟიკმა ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და მშობლიური კლუბის „ჰონვედის" უფროსი მწვრთნელი გახდა. ამჟამად იგი მწვრთნელადაა მიწვეული საბერძნეთში.

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთს თავი დაანება უნგრეთის ყველა დროის საუკეთესო მეკარემ დიულა გროშიჩმა. იგი 86-ჯერ იცავდა ეროვნული ნაკრების ღირსებას. გასულ წელს გროშიჩის — უკვე მწვრთნელის — ხელმძღვანელობით მეშახტეთა გუნდი „შალგოტარიანი" პირველ ლიგას დაუბრუნდა.

მწვრთნელის პოსტზე ყველაზე დიდ წარმატებას შანდორ ჰიდეგკუტიმ მიაღწია. „დიდი ნაკრების" ცენტრფორვარდი და „საუკუნის მატჩის" სამი გოლის ავტორი ერთ ხანს იტალიის კლუბებს „ფიორენტინასა" და „მანტუას" წვრთნიდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჰიდეგკუტი სათავეში ჩაუდგა ნაკლებად ცნობილ პროვინციულ გუნდს „დიერს" და იგი ჯერ ჩემპიონატში გამარჯვებამდე მიიყვანა, შემდეგ კი — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე.

უნგრეთის სხვადასხვა კლუბებში საწვრთნელ ან ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევიან „დიდი ნაკრების" დანარჩენი წევრებიც.

სხვაგვარად წარიმართა სამი ფეხბურთელის ბედი, რომლებიც „ჰონვედის" სამხრეთამერიკული ტურნეს შემდეგ (1956-1957 წ. წ.) სამშობლოში აღარ დაბრუნებულან. სამივე პროფესიონალი გახდა. ფეხბურთს დღესაც თამაშობენ მათ უკვე 40 წელს მიაღწიეს. რატომ არ ეშვებიან ფეხბურთს? იმიტომ, რომ წინ არა აქვთ არავითარი პერსპექტივა.

ფერენც პუშკაშმა ესპანეთის ქვეშევრდომობა მიიღო. როდესაც მის „ახალ სამშობლოში" უნგრელი ფეხბურთელები ჩადიან, პუშკაში ყოველ წუთს მათთან შეხვედრას ლამობს. ცენტრალური თავდამსხმელი ხშირად თვალცრემლიანი უნახავთ. მან დიდძალი ფული მოიხვეჭა, მაგრამ დაკარგა... სამშობლო.

შანდორ კოჩიში „ბარსელონაში" თამაშობს, თუმცა უნგრეთის ნაკრების მთავარი ხნაიპერი დღეს იშვიათად გამოყავთ მინდორზე. მას პროფესიონალი ფეხბურთელის მწარე სიბერე უდგას წინ. კიდევ უფრო ულმობელია ციბორის ბედი, რომელიც ხშირად არღვევდა სპორტულ რეჟიმს და მალე გამოეთხოვა „ბარსელონასთან" კონტრაქტს. ამჟამად იგი რომელიღაც მესამეხარისხოვან გუნდში თამაშობს. იყო დრო, როდესაც ციბორი სპორტის პარალელურად კომერციასაც მისდევდა — იყიდა კაფე. მაგრამ როგორც კი ციბორის სახელი გაზეთების ფურცლებს ჩამოსცილდა... კაფეც დაცარიელდა.

„დიდ ნაკრებში" სხვადასხვა დროს გამოსული 19 ფეხბურთელიდან სამმა სხვაგვარი ცხოვრება ისურვა. დარჩენილი თექვსმეტიდან ამ სამს არც ერთი არ გაუცვლიდა ადგილს, ეს სამი კი ამ თექვსმეტიდან თითოეულს — დიდი სიამოვნებით... სწორად ამბობენ ხალხში, რომ მეორე სამშობლო არ არსებობს.

(„იზვესტია", 14-IX).

„ა" კლასი

ფინალისტები გამოვლინდნენ

„ა" კლასის მეორე ჯგუფის 11 ქვეჯგუფში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები: „შინიკი" (იაროსლავლი) — „ალგა" (ფრუნზე) 2:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ზარია" (ლუგანსკი) 5:0, „კაირატი" (ალმა-ათა) — „არარატი" (ერევანი) 5:0, „კარპატი" (ლვოვი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 0:0, სკა (ნოვოსიბირსკი) — „კუბანი" (კრასნოდარი) 0:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „პოლიტოტდელი" (ტაშკენტის ოლქი) 2:0, „დინამო" (ტალინი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:3.

დარჩენილი მატჩების შედეგების მიუხედავად, ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება გაინაღდეს: „შინიკმა", „ზარიამ", „ჟალგირისმა", „კაირატმა", „არარატმა", „დნეპრმა", „კარპატმა" და „დაუგავამ".

ახალი ამბები

● **მოსკოვი, 13 სექტემბერი.** გუშინ დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი ბადმინტონში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი" და „ტრუდი". გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 7:6. ხვალ იწყება პირადი პირველობა.

● **ერევანი, 13 სექტემბერი.** 3 დღის შემდეგ აქ დაიწყება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი. ტურნირში მოსალოდნელია 8 ქვეყნის 16 მოჭადრაკის მონაწილეობა, რომელთა შორის იქნებიან: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი) და ექს-ჩემპიონი ლ. შტეინი (კიევი), ი. ავერბახი (მოსკოვი), ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), ლ. პორტიში (უნგრეთი), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), გ. შტალბერგი (შვეცია) და სხვ.

● **დნეპროპეტროვსკი, 13 სექტემბერი.** სსრ კავშირის უძლიერეს აკრობატთა გუნდებისთვის დაწესებული თასის პირველი მფლობელები გახდნენ მოსკოველი სტუდენტები ე. პოპოვი, ი. მაგაი, ა. კუზმინი და ა. მალიგინი. სტუდენტებმა 151,5 ქულა მოაგროვეს.

გუშინ VI ტრადიციულზე...

თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა მოძმე სოციალისტური ქვეყნების ტანმოვარჯიშეთა VI საერთაშორისო შეჯიბრება. ფიცარნაგზე ვამწკრივდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა გუნდები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები. თბილისელ გულშემატკივართა წინაშე წარმოსდგნენ სპორტსმენები, რომელთა სახელები ფართოდაა ცნობილი ევროპისა და საერთაშორისო ტანვარჯიშულ სამყაროში: ვაჟთა შორის — სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი მრავალჭიდში, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი ტაიჭზე ი. ცაპენკო, იუნიორთა 1965 წლის საერთაშორისო ასპარეზობაში გამარჯვებული მ. ვორონინი, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ტანმოვარჯიშეთა V საერთაშორისო შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონი ა. შინიაზოვი, ასეთივე IV ასპარეზობის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ფიორსტერი (გდრ), მსოფლიო ჩემპიონი ხტომაში პ. კრბეცი, ქალთა შორის — ე. ტიაჟოლოვა და სხვ. საქართველოს ტანმოვარჯიშეთაგან მონაწილეთა შორის არიან ნ. მაკალათია, მ. ბოგუსი, ა. ჯანუყაშვილი („დინამო“), ყ. ლუდუშაური, ი. ნინოშვილი, რ. ბერიკაშვილი (ახალგაზრდული ნაკრები).

გუშინ ასპარეზი ვაჟებს დაეთმოთ. პროგრამაში იყო ნებისმიერი ვარჯიშების მრავალჭიდი. VI ტრადიციული ასპარეზობის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მ. ვორონინი — 58,1 ქულა. II ადგილი დაისაკუთრა ი. ცაპენკომ — 57,5, III — ვ. სოშინმა — 56,95.' სამივე სპორტსმენი სსრ კავშირის „დინამოდანაა“, რომელიც ლიდერობს გუნდურ ჩათვლაში.



„შრომითი რეზერვების“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონი, პირველთანრიგოსანი ჯ. მამულაშვილი ყოველ შეჯიბრებაზე აუმჯობესებს პირად შედეგებს და ახლა იგი საქართველოს ათ საუკეთესო სპორტსმენს შორისაა 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. 16 წლის ჭაბუკი მიღწეულით არ კმაყოფილდება. სისტემატურად, ხანგრძლივად ვარჯიშობს, ემზადება რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობისთვის.

სურათზე: ჯ. მამულაშვილი მორიგ ვარჯიშზე.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

ველოსპორტი

უკანასკნელი აკორდი

სსრ კავშირის ნაკრები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა

სან-სებასტიანი. ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატმა „ლუზა ჩაუშვა“. „ანოეტას“ ტრეკის ტრიბუნებზე ვნებათა ღელვა დაცხრა. მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა სპორტული ბრძოლების შედეგები და... გამოირკვა, რომ სსრ კავშირი მსოფლიოში უძლიერესი „საველოსიპედო ქვეყანა“ ყოფილა. დიახ უძლიერესი, რადგან ასეთი მდიდარი ნადავლით სამშობლოში არც ერთი გუნდი არ დაბრუნებულა. ჩვენმა ველოსიპედისტებმა სან-სებასტიანში მოიპოვეს ოქროს 3, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი. სამწუხაროდ, ველოსიპედისტთა მსოფლიო პირველობაზე გუნდური შედეგების აღრიცხვა არ ხდება, თორემ სსრ კავშირის ნაკრები პირველი იქნებოდა არა მარტო მოყვარულთა შეჯიბრებაში, არამედ პროფესიონალთა ტურნირშიც.

სან-სებასტიანის სპორტულ ბატალიებს წერტილი დაუსვა პროფესიონალთა ორმა ფინალმა სპრინტსა და სალიდერო რბოლაში. პირველ სახეობაში ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა იტალიელმა ანტონიო ბეგეტომ, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში „ბეჭებზე დასდო“ ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი 1000 მეტრზე გიტში, ბელგიელი პატრიკ სერკიუ.

სალიდერო რბოლა უკვე კარგა ხანია ესპანელთა „პროფესიად“ ითვლება. ამ აზრის სისწორე მასპინძლებმა მიმდინარე ჩემპიონატშიც დაამტკიცეს. 100-კილომეტრიანი რბოლის ფინალში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის უძლიერესმა ველოსიპედისტმა გილემო ტიმონერმა.

ახალი ხელმძღვანელობა

სან-სებასტიანი. მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში აქ გაიმართა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს არჩევნები. თავმჯდომარედ ერთხმად გავიდა ა. როდონი (იტალია). თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს: პროფესიონალებში — ა. მონცონი (იტალია), ა. ექესპი (საფრანგეთი), მ. ვან ვლიტი (ჰოლანდია), ვ. დენცერი (გფრ), მოყვარულებში — ა. კუპრიანოვი (სსრ კავშირი), მ. მოისონი (ბელგია), ლ. დოჯი (საფრანგეთი), ა. ელორზა (ესპანეთი).

ცუდად ითამაშე — გადაიხადე!

გფრ-ის პრესა იუწყება, რომ ცნობილი საფეხბურთო გუნდის „აინტრახტ ფრანკფურტის“ შვიდი წამყვანი მოთამაშე დაჯარიმებულია თვითეული 100 მარკის ოდენობით. დაჯარიმების მიზეზი გამოქვეყნებულია ოფიციალურად: „არასაკმაო ენთუზიაზმი „ფკ ნიურნბერგთან“ მატჩის დროს“. ეს შეხვედრა „აინტრახტმა“ წააგო ანგარიშით 1:2.

მაგრამ ფეხბურთელებმა არ მოინდომეს მორჩილად გადახდა. „ვის მოეწონება, რომ კლუბის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება ჩემი ჯიბის ხარჯზე სურთ,“ — განაცხადა ბლუშმა. მეორე ფეხბურთელმა — ლინდნერმა თქვა: „ჩვენ რობოტები არა ვართ, რომ ყოველთვის აბსოლუტურად ერთნაირად ვითამაშოთ. არ შეიძლება ასეთ ექსპლოატაციას გვიწევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ ფულს გვიხდიან“.

მმართველობა უარზეა „დამნაშავე“ ფეხბურთელები შემდგომ თამაშებზე დაუშვას. როგორც ჩანს, ფეხბურთელებს დათმობა მოუხდებათ—ძნელია ედაეო პატრონებს.

სპორტსმენის მამაცობა

60 წლის ვან დენ ბერგი სამ სხვა ალპინისტთან ერთად ავიდა საფრანგეთის ალპების ერთ-ერთ მწვერვალზე, რომლის სიმაღლე 3130 მ-ს უდრის. ალპინისტთა ჯგუფმა ლაშქრობა დაიწყო დილაადრიანად, ხოლო საღამოსთვის უკვე მიადგა ზღვის დონიდან 2500 მეტრს. უკანასკნელი 630 მეტრი მთამსვლელებმა ქარბუქში დაძლიეს. მწვერვალის დაპყრობის შემდეგ, გრენობლში დაბრუნებისას, ვან დენ ბერგი თავის ამხანაგებზე გაცილებით უფრო მხნედ გამოიყურებოდა. „მზად ვარ ისევ გავემგზავრო მთებში“, — თქვა მან. მაგრამ საქმე ამ ენთუზიასტის მხოლოდ ასაკში როდია. ვან დენ ბერგი ბრმაა.

ალპინიზმი მისი ერთადერთი გატაცება არ არის. მთელ თავისუფალ დროს მოხუცი თხილამურებსაც უთმობს. თხილამურებით იგი მთის ფერდობიდან სხვა მოთხილამურეს მიჰყვება უკან. ეს უკანასკნელი მას ზარით აფრთხილებს დაბკოლებებისა თუ მოსახვევების შესახებ. ვან დენ ბერგი ამბობს, რომ თხილამურებით სეირნობა მას ცუდ ამინდში ურჩევნია, ვინაიდან ასეთ დროს არ ეშინია ვინმეს დაეჯახოს და თავს მთების სრულ ბატონ-პატრონად გრძნობს.

ფეხბურთი

მ. ბასბი ამშვიდებს გულშემატკივრებს

ფეხბურთის სამშობლო მსოფლიო ასპარეზზე მიღწევებით ვერ დაიტრაბახებს. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელები რეაბილიტაციას შეეცდებიან. მით უმეტეს, ერთი კოზირი მათ ხელშია — ჩემპიონატი ინგლისის სტადიონებზე ტარდება. სწორედ ამას უსვამს ხაზს მსოფლიოს სპორტული პრესა, როდესაც ინგლისელებს ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებს.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის პერსპექტივა ადგას სწორედ თავს ინგლისის ახლად დაწყებულ ჩემპიონატს. პრესის ინტერესი ყოველი მატჩისადმი, ყოველი ფეხბურთელისადმი უზომოდ დიდია. საერთაშორისო მატჩებში ინგლისელთა გამოსვლები კი ეროვნული პრესტიჟის საქმედ იქცა.

წელს ევროპის თასების გათამაშებებში ინგლისის ხუთი გუნდი იბრძოლებს: ჩემპიონთა თასისთვის — „მანჩესტერ იუნაიტედი“, თასების მფლობელთა თასისთვის — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და „ლივერპული“, ბაზრობათა თასისთვის — „ჩელსი“ და „ევერტონი“. მაგრამ ეს კლუბები („ლივერპულის“ გარდა) ჩემპიონატის შეხვედრებს ძალზე სუსტად ატარებენ. ჩემპიონის — „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელის — „ვესტ ჰემის“ წლევანდელ „მიღწევებზე“ ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა. ინგლისიდან მოვიდა ცნობა, რომ სპორტული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ინგლისის საუკეთესო კლუბების თამაშით. საქმე იქამდე მივიდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ვესტ ჰემის“ მწვრთნელები მ. ბასბი და რ. გრინვუდი იძულებული გახდნენ გულშემატკივართა დასამშვიდებლად ტელევიზიით გამოსულიყვნენ. ჩემპიონის მწვრთნელმა ბასბიმ განაცხადა: „ჩვენი გუნდი სეზონს, როგორც წესი, ცუდად იწყებს. შარშან ამ დროს მდგომარეობა უარესი გვქონდა, მაგრამ შემდეგ ჩემპიონები გავხდით. გარდა ამისა, ტრავმირებულია გუნდის საუკეთესო ფორვარდი დენის ლოუ, რომელმაც ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა. ლოუ წელიწადში საშუალოდ 40 ბურთს გვაძლევს. მგონია, ამით ყველაფერი ვთქვი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ახალგაზრდული და ამავე დროს, მაღალი კლასის გუნდია. ნუ შეშფოთდებით, გამარჯვება ჩვენი იქნება“. „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა გრინვუდმა თავი იმით გაიმართლა, რომ ჩემპიონატის მატჩებში ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. დანარჩენები ან დაშავდნენ, ან ცუდ ფორმაში არიან.

„გრინვუდი მართალია, — წერენ გაზეთები, — მაგრამ საპასუხისმგებლო მატჩები ოქტომბერში იწყება და მხოლოდ თავის მართლებით მიზანს ვერ მივაღწევთ“.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ტანვარჯიში. სპორტის სასახლე. 15-16 სექტემბერი. საერთაშორისო შეჯიბრება, მონაწილეობენ: „გვარდია“ (პოლონეთი), „დინამო“ (გდრ), „დოჟა“ (უნგრეთი), „რუდა გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია), „სპარტაკი“ (ბულგარეთი), „დინამო“ (რუმინეთი), „დინამო“ (სსრ კავშირი). დასაწყისი 15 სექტემბერს — 10 ს. და 17 ს, 16 სექტემბერს — 18 ს.

ტყვიით სროლა. ავჭალის სასროლეთი. 15-22 სექტემბერი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ხელბურთი. სპორტის სასახლე. 19-25 სექტემბერი. სსრ კავშირის პირველობა ვაჟთა შორის. „ა“ კლასი. მონაწილეობენ: „ტრუდი“ (მოსკოვი), მაი (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი), „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე), „ბურევესტნიკი“ (კიევი), „პოლიტექნიკი“ (კაუნასი), ქარხანა „ბოლშევიკი“ (ლენინგრადი), ზსვპ, „დინამო“ (ბაქო), ქ. ტირასპოლის გუნდი, „ბურევესტნიკი“ (თბილისი). დასაწყისი 13 ს. 30 წ.

გამოიწერეთ გაზეთი

1966 წლისათვის „ლელოს“ გამოწერა წარმოებს შეუზღუდავად

მთელი წლით გაზეთის გამოწერის ფასია 7 მან. და 80 კაპ.
6 თვით — 3 მან. და 90 კაპ.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ე 11997